პროლეტარებო, უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 18 ნოემბერი, 1949 წ. № 228 (8531). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ზამთარში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
უკრაინის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
გამოვავლინოთ და სრულად გამოვიყენოთ არსებული საწარმოო შესაძლებლობანი (მე-2 გვერდი).
გ. ფირცხალავა — ლენინური „ისკრის“ როლი მატერიალისტური პარტიის აგების საქმეში (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ზამთარში

შარშან დეკემბერში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე. ამ დადგენილებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უზრუნველყოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ განვითარება. ფიზკულტურული მუშაობის დარგში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთავარ ამოცანად ჩათვალა ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარება, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და მის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის უმნიშვნელოვანეს სახეებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ სერიოზული ამოცანები დაუსახა ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების დარგში. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია: „პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის ყოველმხრივ გაშლა ადგილებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასპორტო ნაგებობათა მშენებლობას ქალაქად და სოფლად. გაუმჯობესდეს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის, განათლების ორგანოებისა და სკოლების, აგრეთვე კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის, მუშებისა და მოსამსახურეების ფიზიკური აღზრდის დარგში“.

ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით სერიოზული მუშაობა გასწიეს და მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, უყვართ სპორტი და ყოველდღიურად ავითარებენ მას. ამჟამად საქართველოში არსებობს 5.427 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 273.373 კაცი, ხოლო ფიზკულტურულ სექციებში 381.560-ზე მეტი კაცი მეცადინეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზკულტურულ კოლექტივებსა და წრეებში მეცადინეობს 27.402 კაცით მეტი, ვიდრე შარშან.

ფიზკულტურული მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ხანებში. ეს იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას უთმობდნენ ამ საქმეს. მარტო ივლის-სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკური მნიშვნელობის 15 სპორტული ღონისძიება განახორციელეს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს 6.109 ფიზკულტურელმა. ამას გარდა, რესპუბლიკის 389 წამყვანმა სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო მნიშვნელობის 24 შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრებებში გამოვლინდა ქართველ სპორტსმენთა მაღალი ოსტატობა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენმა ფიზკულტურელებმა მიმდინარე წელს დაამყარეს 6 ახალი საკავშირო და 54 რესპუბლიკური რეკორდი.

საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ნიშნოსნების მომზადებაში. 1 ოქტომბრისათვის მშთ პირველი საფეხურის ნიშნოსნების მომზადების წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებული იყო 84,9 პროცენტით, მეორე საფეხურისა — 79,8 პროცენტით და იმშთ ნიშნოსნებისა — 85,8 პროცენტით. ამავე რიცხვისათვის მომზადებული იყო 7.500-ზე მეტი პირველი, მეორე და მესამე თანრიგის სპორტსმენი.

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის რაიონის, აჭარის ასს რესპუბლიკის, ტყიბულის, საგარეჯოს და მახარაძის რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მათ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად გაანაღდეს, მიაღწიეს ფიზკულტურულ კოლექტივებში მშრომელთა ფართო ძალების ჩაბმას და მათთან სპორტული მეცადინეობის მაღალ დონეზე დაყენებას.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებსაც აქვს ადგილი. მთელ რიგ რაიონებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა კვლავ წარმოადგენს ჩამორჩენილ უბანს. განსაკუთრებით ეს ითქმის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებზე, სადაც მეტად უმნიშვნელო რამ არის გაკეთებული ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების საკითხზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესასრულებლად. 1949 წლის 9 თვის მანძილზე მთელ ოლქში მშთ II საფეხურის არცერთი ნიშნოსანი არ მოუმზადებიათ. უფრო მეტიც. 1949 წლის 1 ივლისის ცნობებთან შედარებთ, შემდგომი სამი თვის მანძილზე ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის ოლქის ფიზკულტურელთა საერთო რიცხვის 6.000 კაცით შემცირებას. ასეთსავე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ფიზკულტურული მუშაობა ადიგენის, ახმეტის, სამტრედიისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობისა და არადამაკმაყოფილებელი დახმარების შედეგად ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები სრულ უმოქმედობას იჩენენ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სერიოზულ ყურადღებასა და დახმარებას მოითხოვს. ამ საქმის წინწაწევაში თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულონ საქართველოს კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმაც. ამოცანა ის არის, რომ მოვახდინოთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის მობილიზაცია ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის, მოვაწყოთ იმ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილების პოპულარიზაცია, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში დასახულ ღონისძიებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანომ გაზეთმა „ლელომ“ თავის ფურცლებზე მეტი ადგილი უნდა დაუთმოს ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში წარმოებული მუშაობის ფართოდ გაშუქებას, ამ მხრივ მოწინავე ორგანიზაციების გამოცდილების ჩვენებას.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა გადაუდებელი ამოცანაა განამტკიცონ ზაფხულსა და შემოდგომაზე მოპოვებული მიღწევები და იბრძოლონ ზამთრის სეზონში უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად.

ზამთრის სეზონში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სათხილამურო სპორტის ფართოდ განვითარებას, განსაკუთრებით რესპუბლიკის მთაგორიან რაიონებსა და სოფლებში. საჭიროა ახლავე შედგეს სპორტული კალენდარი ზამთრის პერიოდისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეჯიბრებანი მეთხილამურეობაში, სროლაში, სიმძიმეების აწევაში, გიმნასტიკაში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეებში.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ღირსების საქმეა ახალი წარმატებანი მოიპოვონ ზამთარში.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ტონა თამბაქო

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა თამბაქოს დამზადების გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. ჩაჩიბაია და მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გობეჩია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ტონა თამბაქო.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-14 ტომი უკრაინულ ენაზე

კიევი, 16 ნოემბერი. (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა უკრაინულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთოთხმეტე ტომი.

თარგმანი რუსული გამოცემიდან შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უკრაინის ფილიალმა.

მოსკოვის ქრონიკა

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მეგროს ახალ ზრასზე

მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლები ასამუშავებლად ამზადებენ პირველ უბანს ახალი დიდი ორგვლივი ტრასისას, რომელიც მოსკოვის შვიდ ვაგზალს აერთებს. ამ უბანზე საშენებლო სამუშაოები უკვე დამთავრდა. მალე დამთავრდება აგრეთვე ექვსი ახალი მიწისქვეშა სასახლის არქიტექტურული გაფორმება; ისინი უახლოეს მომავალში მზად იქნებიან პირველ მგზავრთა მისაღებად.

თვითეული ამ სასახლის არქიტექტურა განირჩევა ორიგინალური ჩანაფიქრით, გაბედული შესრულებით, სისადავითა და ამასთანავე სიდიადით. მიწისქვეშა სადგურები შეერთებულია მეტროს გვირაბებით, რომლებიც წარმოადგენენ უდიდეს ლითონის მილებს. ერთ ადგილას სადგურ „ტაგანსკაიას“ და „პაველეცკაიას“ შორის გვირაბი მდინარე მოსკოვს ქვეშ გადის. ამ უბანზე გამთხრელები განსაკუთრებულ სიძნელეს წააწყდნენ. თვითეულ კუბურ მეტრ ამოღებულ გრუნტზე მათ ამოტუმბეს ხუთასი კუბური მეტრი წყალი. აქ მიწისქვეშა წყალი ბობოქრობდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ ახლა წყალი მოთვინიერებულია.

ახალი ირგვლივი ტრასის პირველი უბნის საერთო სიგრძე რვა კილომეტრია.

აერქეოლოგიური გათხრები

სამშენებლო სამუშაოებმა, რაც წელს ზაფხულს მიმდინარეობდა მოსკოვში, დიდი ნაპოვნი არგუნა არქეოლოგებს. მათ განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ზარიადიეში, კრემლის სამრეკლო-ღმოსავლეთ კუთხეში მდინარე მოსკოვის ნაპირას მდებარე რაიონში. ამ ადგილას გათხრების შედეგებმა დაადასტურეს მოსაზრება, რომ ზარიადიეს ტერიტორია ძველთაგანვე ყოფილა დასახლებული. აქ იპოვეს ნივთები, რომლებიც XI-XIII საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩნდა XIV საუკუნის შენობების ძეულრები.

ზარიადიეს ამ უბნებში ცხოვრობდნენ მსხმელები, მეწაღლეები, ძვლის ამომჭრელები. XVI საუკუნის სამსხმელო სახელოსნოებიდან დარჩენილა მრავალი ხადნობი ქვაბი, ნაპოვნია შუბებისა და ისრების ბუნიკები, ძვლით გაკეთებული ჭადრაკის ფიგურები. აღმოჩნდა დიდებული ფერადი შორენკეცები, რაც XVI საუკუნეს განეკუთვნება. შორენკეცებზე დიდი ოსტატობით არის გამოსახული სამხედრო ცხოვრების სცენები და ჩუქურთმები. ნაპოვნია მრავალი სადავშო სათამაშო—დათუნიები, ცხენები, სასტვენი ჩიტები.

გამომგონებელთა და რაციონალიზაჟორთა კომპლექსური ბრიგადები

მოსკოვის სამრეწველო საწარმოებში ფართოდაა გავრცელებული რაციონალიზატორული შემოქმედების ახალი ფორმა—გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადები. ამ ბრიგადებში შედიან სტახანოველები, ინჟინრები და ტექნიკოსები. ამ შემოქმედებით კოლექტივებს არა მარტო შეაქვთ და ამუშავებენ ამა თუ იმ წინადადებას, არამედ თვითონვე ახორციელებენ მათ. მაგალითად, მყარ შენადნობთა მოსკოვის კომბინატს კომპლექსური ბრიგადების წინადადებათა განხორციელებამ დიდი ეკონომია მისცა.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ უკრაინის სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა და შაქრის ქარხნებმა ვადამდე დაამთავრეს 1949 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის ამოღება და გამოზიდვა.

ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებსა და შაქრის ქარხნებს შარშანდელზე 42 პროცენტით მეტი ჭარხალი ჩაბარდა. მაგრამ, ამხანაგო სტალინ, შაქრის ჭარხლის მოსავლის გასადიდებლად თქვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი წელს მთლიანად შესრულებული არ არის.

დიდმა დახმარებამ, რაც წელს სსრ კავშირის მთავრობამ გაუწია უკრაინის სსრ ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და შაქრის ქარხნებს ავტოტრანსპორტით, მოსავლის ასაღები და სხვა მანქანებით, შესაძლებელი გახადა, რომ მთელი ჭარხლის მოსავალი დროულად აგველო და უდანაკარგოდ გამოგვეზიდა. წელს მოყვანილი ჭარხლის დიდი შაქრიანობა უზრუნველყოფს შაქრის წარმოების დადგენილი გეგმის შესრულებას.

ჭარხლის გადასამუშავებლად შაქრის ქარხნების მომზადების დროს შაქრის მრეწველობის მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრება გაიხადეს, წარმატებით განახორციელეს მოწყობილობის რემონტი, კარგად მოამზადეს ჭარხლის დამამზადებელი პუნქტები ნედლეულის მისაღებად და ვადამდე აამუშავეს შაქრის ქარხნები. წელს რკინიგზელები კარგად მუშაობენ ჭარხლის გადაზიდვაზე. შაქრის ქარხნებმა წელს გაადიდეს თავიანთი საწარმოო სიმძლავრეები, აღჭურვილი არიან უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური მოწყობილობით და ენერგოძალოვანი მეურნეობით, რამაც საშუალება მოგვცა შაქრის ჭარხლის სადღეღამისო გადამუშავება გაგვედიდებინა 130 ათასი ცენტნერით, შეგვემცირებინა საწარმოო დანაკარგი და ამ გზით 1949 წლის 1 ნოემბრისათვის დამატებით გამოგვემუშავებინა 100 ათას ფუთზე მეტი შაქარი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე შაქრის ქარხნების სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა, რომ 1949 წლის 1 ნოემბრისათვის გამოგვემუშავებინა 15,8 მილიონი ფუთი შაქრით მეტი, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის.

კოლმეურნეებმა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და შაქრის ქარხნების მუშაკებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან 1950 წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის, დაამთავრეს ღრმა მზრალი ხვნა მომავალი წლის ჭარხლის მთელ სათეს ფართობზე, და საჭირო რაოდენობით შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქი.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა 1950 წელს შაქრის ჭარხლის უფრო უხვი მოსავალი მოიყვანონ და მეტი შაქარი მისცენ ჩვენს სამშობლოს.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. კოროტჩენკო
უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მაცკევიჩი
უკრაინის სსრ შაქრის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. კუდრია

მოსკოვს ჩამოდიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიის მონაწილენი

მოსკოვს იწყეს ჩამოსვლა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს მომავალი სესიის მონაწილეებმა.

ჩამოსულთა შორის არიან: ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე, პოლონეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ვიცე-მინისტრი ქ-ნი პრაგეროვა, ამერიკელ ქალთა კონგრესის თავმჯდომარე ქ-ნი მიურიელ დრეიბერი, ამერიკელ ქალთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარე ქ-ნი ზოლეიდა რობსონი, საბერძნეთის დემოკრატ ქალთა წარმომადგენლები ქ-ნები რუელა კუკელუ, რიტა ლაზარიდუ, ვაინა ვურნა და ავრა პაპაკალიდუ.

სესიის მისკოვს ჩამოსულ მონაწილეთა შორის არიან: ქ-ნები დორის ნილსონი და მარიამ კარდაში (კანადა), ქ-ნი დე-პონსე (არგენტინა), ქ-ნი მარტინესი (ეკვადორი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დანიის სექციის გენერალური მდივანი ქ-ნი ნორდენტოფტი, ფინეთის ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ქ-ნი ნევალაინენი, შვედ ქალთა შემარცხენე კავშირის მთავარი გამგეობის წევრები ქ-ნები ლინდსტრომი და სვენსონი.

გერმანიის დელეგატ ქალთა შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები: გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ქ-ნი ელი აკერმან-შმიდტი, ქ-ნები ვილჰელმინა შირმერ-პრეშერი და მაგდა ლანგჰანსი.

რუმინეთიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარე ქ-ნი კონსტანცა კრაჩუნი, რუმინეთის სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე ქ-ნი ფლორიკა მეზინჩესკუ, რუმინეთის შრომის კონფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე ქ-ნი ლუბა კიშინევსკაია, რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ელისაბედ ლუკა.

სესიაზე ჩამოვიდნენ აგრეთვე იტალიის, ინდოეთის, კოლუმბიის, ავსტრიის ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სესიის მონაწილეებს შეეგებენ: საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. პარფენოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ნ. ფედოროვა, წევრის III რანგის გენერალ-დირექტორი ზ. ნ. ტროიცკაია, მეცნიერთა მოსკოვის სახლის დირექტორი ე. ი. ლეონტიევა და სხვები. (საკდესი).

თბილისში ჩამოვიდა კორეის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი

16 ნოემბრს თბილისში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტი ბ-ნი ლი დონ ენი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მოწვევით.

ვაგზალზე სტუმარს შეხვდნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ხელაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ი. ფრანგულიანი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხარჩილავა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და სხვ.

ბ-ნი ლი დონ ენი გაეცნობა საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის საქმიანობას, რომელმაც წელს წარმატებითი მუშაობისათვის მიიღო სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. (საქდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთის მუშათა პარტიაში

ბუქარესტი, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც კი დამთავრდა რუმინეთის მუშათა პარტიის რიგების შემოწმება, დაიწყო პარტიის წევრებისათვის ახალი პარტიული ბილეთების მიცემა.

„პარტიული ბილეთების გადაცემა, — წერს გაზეთი „სკინტეია“, — მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. რუმინეთის მუშათა პარტიის რიგების შემოწმება კომუნისტური აღზრდის მაღალი სკოლა იყო. ამ შემოწმებამ გაძლიერა პარტიის წევრთა შეგნება, ამაღლა მათი პოლიტიკური დონე, განმტკიცა რევოლუციური სულისკვეთება, კლასობრივი სიფხიზლე და დიდი წვლილი შეიტანა უცხო გავლენის აღმოფხვრის საქმეში“.

საბჭოთა სამრეწველო გამოფენის წარმატება ბუქარესტში

ბუქარესტი, 15 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ბუქარესტში უფრო და უფრო მეტ მნახველს იზიდავს. გამოფენის სანახავად მოდიან სხვადასხვა ქალაქის მუშები და რუმინეთის შორეული სოფლებისა და რაიონების გლეხები. ყოველ კვირა დღეს რუმინეთის ყველა კუთხიდან სპეციალური ნავტარებლებით ჩამოდის ათასობით ადამიანი, რომლებსაც გამოფენის დათვალიერება სურთ.

იმის გამო, რომ გამოფენის ზღვა ხალხი მიაწყდა და პროვინციიდან არა ერთი თხოვნა მოვიდა, საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ბუქარესტში კიდევ 10 დღეს გაგრძელდება.

კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა ბულგარეთში

სოფია, 17 ნოემბერი. (საკდესი). მიხაილოვგრადის ოკოლიის სადგურ ბოიჩინოვციში საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი საკონსერვო კომბინატი. კომბინატი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. კონსერვების დამზადების მთელი პროცესი ავტომატიზებულია. კომბინატი ყოველდღიურად უშვებს 10-12 ათას ქილა კონსერვს.

კომბინატის გვერდით აშენებულია მაკარონის ფაბრიკა და წისქვილი, შენდება მაცივარი და სხვა სამრეწველო ობიექტები.

კომბინატის გარშემო აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები მუშებისათვის. მუშათა ახალ დაბაში იცხოვრებს 5 ათასამდე კაცი.

სტუდენტთა საერთაშორისო კვირა

პრაღა, 15 ნოემბერი. (საკდესი). სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა გრომანმა პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სტუდენტთა საერთაშორისო კვირა, რომელიც მოეწყო 10-დან 17 ნოემბრამდე, მიმდინარეობდა მშვიდობისათვის, დემოკრატი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა რიგების ერთიანობისათვის მთელი მსოფლიოს დემოკრატ სტუდენტთა ბრძოლის ნიშნით, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების მობილიზაციის ნიშნით. გრომანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წელს სტუდენტები და ახალგაზრდობა მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანთან ერთად განსაკუთრებით აქტიურად იცავენ მშვიდობას და ალაშქრებენ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

გრომანმა აღნიშნა, რომ წელს სტუდენტთა საერთაშორისო კვირა მიმდინარეობდა აგრეთვე ყველა ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბრძოლის ნიშნით.

სოციალისტური შრომის გმირები

ლ. დ. კიმიციდი

ქობულეთის რაიონის დაგვის სახოფლო საბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.128 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ფ. ხ. ქათამაძე

ქობულეთის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.274 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



დ. უ. ლელაძე

საქართველოს შამპანკომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 136,3 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

მ. ხ. ქახაილიშვი

ბათუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 250 სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 472 ცალი ლიმონის მოყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

სუსტი ხელმძღვანელობის შედეგი

ბევრი შესაძლებლობა აქვს ზნაურის რაიონის სოფელ ხუნდისუბნის კოლმეურნეობას. მაგრამ ეს შესაძლებლობანი სათანადოდ არ არის გამოყენებული. კოლმეურნეობა ვერ ასრულებს მოსავლიანობის, საზოგადოებრივი პროდუქტიულობის ზრდის გეგმებს. კოლმეურნეობის ჩამორჩენა, პირველ რიგში, მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობით აიხსნება.

პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. თხელიძე არ ზრუნავს დავალებების სწორად განაწილებისათვის, პრაქტიკულ მუშაობაში კომუნისტების ჩაბმისათვის. კომუნისტ მ. კოკოევას პარტიული დავალება არა აქვს. მისი მონაწილეობა ორგანიზაციის ცხოვრებაში პარტიულ კრებებზე დასწრებით ამოიწურება. დავალება არა აქვთ კომუნისტებს ი. გათიკოევს, გ. ბეკოევს და სხვებს. უფრო მეტიც. პარტიული ორგანიზაციის მდივანს არ ესმის პარტიული დავალების შინაარსი. მისი აზრით, პარტიული დავალებაა ის, რომ კომუნისტი რ. გათიკოევი მეზეველია, კოლმეურნეობის წისქვილი აქვს ჩაბარებული და, როცა წისქვილს რაიმე შეკეთება დაჭირდება, რ. გათიკოევი ასრულებს ამ სამუშაოს. ხოლო კომუნისტ რ. გაგნიძეს, როგორც ა. თხელიძემ განაცხადა, დავალებული აქვს პარტიულ კრებაზე დასასწრებლად კომუნისტების შეკრება.

ცალკეულ კომუნისტებს მიცემული აქვთ სერიოზული პარტიული დავალებები, მაგრამ მათ სათანადოდ არ ეხმარებიან და არც თხოვენ ამ დავალებათა შესრულებას. საკოლმეურნეო კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ მეხუთე თვეა არ გამოსულა. მისმა რედაქტორმა ი. გაგიევმა გვითხრა: წერილებს არავინ მიწერს, მარტო მე კი ვერაფერს გავხდიო. პარტიულმა ორგანიზაციამ არაერთხელ იმსჯელა კედლის გაზეთის მუშაობაზე, მიიღო დადგენილებაც, მაგრამ მისი შესრულებისთვის არ უზრუნია.

კოლმეურნეთა შორის სუსტად არის დაყენებული საგაზეთო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორები პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, ვინაიდან პარტორგანიზაცია მათ ნაკლებად უწევს კონტროლს და დახმარებას.

კომუნისტების ავანგარდული როლისათვის ბრძოლაც არ დგას სათანადო დონეზე. მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადამ საშემოდგომო ხვნა-თესვის დროს უხეშად დაარღვია აგროწესები. ამ ბრიგადას კომუნისტი ლ. გაგნიძე ხელმძღვანელობს. საქმეში კოლმეურნეობის გამგეობა ჩაერია, პარტიულმა ორგანიზაციამ კი ამხ. გაგნიძის საკითხი არ განიხილა. ასევე მოიქცა პარტიული ორგანიზაცია, როცა კოლმეურნეობის საწყობის გამგე პარტიის წევრობის კანდიდატი შ. გაგნიძე საქმეს უპასუხისმგებლობით მოეკიდა, რის შედეგადაც გაჭიანურდა სათესლე მასალის მომზადება. ცუდად მუშაობს მეფრინველეობის ფერმაში კომუნისტი ს. ხახუტაშვილი. პარტიის წევრობის კანდიდატი დ. გათიკოევი მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო სამუშაოებში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აქ სათანადოდ ვერ აფასებენ პარტიული კრების როლს. ხშირად კრებაზე საკითხები გამოაქვთ მოუმზადებლად, კრების გადაწყვეტილებანი ზერელეა, ფორმალურ ხასიათს ატარებენ.

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს პარტიულმა კრებამ იმსჯელა შემოდგომა-ზამთრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში კომუნისტების მონაწილეობაზე. მიღებულ იქნა ასეთი დადგენილება: „დაევალოს პირველად პარტიულ ორგანიზაციას, რომ მუშა-საქონელი დაკმაყოფილებული იქნას საკვებით და საზამთრო ბინები იქნას ფერმის საქონლისათვის შეკეთებული, შეძენილი იქნას ფერმისათვის ჯიშიანი საქონელი, შესრულდეს გეგმები და კედლის გაზეთი გამოშვებულ იქნას ყოველთვიურად“. ცხადია, ასეთი დადგენილება ვერ დარაზმავდა კომუნისტებს.

კოლმეურნეობაში არიან ცალკეული მოწინავე ბრიგადები, რგოლები, კოლმეურნეები. მათი გამოცდილების განზოგადებისათვის პარტორგანიზაცია არ ზრუნავს. პარტორგანიზაციას სუსტი კავშირი აქვს უპარტიო აქტივთან, არ ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას.

სოფელ ხუნდისუბნის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებისათვის უფრო მეტი ზრუნვა მოეთხოვება პარტიის ზნაურის რაიკომს.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ექსკურსია გორში

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა დიდი ბელადების — ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მსმენელებისა და პროპაგანდისტებისათვის ამ დღეებში მოაწყო ექსკურსია ქალაქ გორში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 103 კაცმა.

ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა დიდი სტალინი, და გამოფენა, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები სასჯიკად უნდა დაისაჯონ

აბაშის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ ძველი აბაშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იროდიონ ქოიავა უხეშად არღვევდა კოლმეურნეობის მართვის დემოკრატიულ პრინციპს. კოლმეურნეობის გამგეობისა და საერთო კრების ნებადაურთველად, პირადი ბარათებით, ბუხჰალტრის გვერდის ავლით თავმჯდომარე ყიდდა სხვადასხვა პროდუქტებს და მიღებული ფულის ნაწილს თვითონ ითვისებდა. კერძოდ ი. ქოიავამ გასცა კოლმეურნეობის 12 გოჯი, 80 ლიტრი რძე, 15 კილოგრამი ყველი და 6 ქათამი, რაც ბუხჰალტერიაში არ არის გატარებული და ღირებულება კოლმეურნეობას დღემდე არა აქვს ანაზღაურებული.

1948 წელს კოლმეურნეობაში ცუდი მოვლის შედეგად დაიხოცა 11 სული პირუტყვი. დამნაშავე პირთა გამოსავლინებლად და პასუხისგებაში მისაცემად ი. ქოიავას ზომები არ მიუღია. ამასთან ერთად იგი ჰყიდდა კოლმეურნეობის ჩალას და ფულს თვითონ ითვისებდა. ბუხჰალტერიაში გატარებული არ არის აგრეთვე მის მიერ კოლმეურნე ერ. ქოიავასათვის მიყიდული ჩალის ღირებულება 150 მანეთი, აკ. ღვანისათვის მიყიდული 100 კონა ჩალის საფასური 300 მანეთი და სხვ. სოფელ ონოდიის სტუდრუას სახელობის კოლმეურნეობას ი. ქოიავამ მიჰყიდა 3.200 კონა ჩალა 9.600 მანეთად, ამ თანხიდან ბუხჰალტერიაში გაატარა 5.900 მანეთი, დანარჩენი 3.500 მანეთი მან მიითვისა, 200 მანეთი კი—საწყობის გამგე ვ. ქოიავამ. ი. ქოიავას განკარგულებით 2.833 კონა ჩალა მიჰყიდეს სოფელ ნაჯახაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობას. მიღებული ფულიდან 1.200 მანეთი მიითვისა საწყობის გამგემ ვ. ქოიავამ.

ი. ქოიავამ წისქვილის გადასახურავად შეძენილი 1.000 ცალი კრამიტიდან ორმაგ ფასებში გაყიდა 700 ცალი. მიღებული ფულიდან 500 მანეთი მიითვისა, დანარჩენი კი მართებს სხვადასხვა პირებს. ამ კომბინატორმა სრული არევ-დარევა შეიტანა წისქვილის მინდის აღრიცხვაშიც. მისი პირადი განკარგულებით ხშირად საფქვავზე არ იწერებოდა მინდის ასაღები ქვითრები და, ამრიგად მინდის გადამალვა ხდებოდა. მინდის შემოსავალზე საწყობის გამგე ვ. ქოიავა ყალბ აქტებს ადგენდა. ამ გზით ი. ქოიავამ სახელმწიფოს დააკლო სულ ცოტა 2.556 კილოგრამი სიმინდი.

ნაღდად შემოსული 57.081 მანეთიდან 20.881 მანეთი დახარჯულია ბანკის გვერდის ავლით. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამ უკანონო მოქმედებით გათამამებულნი, კოლმეურნეობის სხვა მუშაკებიც სჩადიოდნენ ბოროტმოქმედებას და ზიანს აყენებდნენ კოლმეურნეობას.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანს. როგორც რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ებრალიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. ეს საკითხი განხილა რაიკომის ბიურომ. იროდიონ ალექსის-ძე ქოიავა საკოლმეურნეო ქონების მითვისების, განიავებისა და მინდის სიმინდის გადამალვისათვის გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან. ბიურომ რჩევა მისცა ძველი აბაშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებას მოხსნას ი. ქოიავა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან და მისცეს პასუხისგებაში. სამუშაოდან მოხსნილი არიან აგრეთვე მესაქონლეობის ფერმის გამგე გრიგოლ ჯალაღანია, მეღორეობის ფერმის გამგე ავქსენტი ქოიავა, საწყობის გამგე ივანე ქოიავა, კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ქსენია კუპრავა.

კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა სამუშაოდან მოხსნას მონგარიშელ. კორძახია, ხოლო მეწისქვილეები ბ. რუბენია, ვ. შოთაძე და პ. ქოიავა მინდის გადამალვის ხელშეწყობისათვის მისცეს პასუხისგებაში. საწყობის ყოფილ გამგეს პეტრე კერესელიძეს მინდის სიმინდის გაუტარებლობისათვის დაედო პარტიული სასჯელი.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გამოვავლინოთ და სრულად გამოვიყენოთ არსებული საწარმოო შესაძლებლობანი

რაციონალიზაციის წვლილი

მრავალი ახალი წინადადება შემოიტანეს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა წარმოების ძირითად საშუალებათა რაციონალურად გამოყენებისა და პროდუქციის გამოშვების მკვეთრად გადიდების მისაღწევად.

უფროსმა ტექნოლოგმა გ. ქოქრაშვილმა შეიტანა წინადადება ამწყობ საამქროში კონვეიერის გადაკეთების შესახებ ისე, რომ მისი საშუალებით გაადვილდეს საავტომობილო მოტორის აწყობა. ამით ქარხნის კოლექტივს შესაძლებლობა მიეცემა დააჩქაროს ავტომანქანათა რემონტის საქმე, რაც ერთის მხრივ გამოიწვევს პროდუქციის გამოშვების გადიდებას, და მეორე მხრივ არსებულ დანადგართა სრულად დატვირთვას.

ასეთივე საყურადღებო წინადადება შემოიტანა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. ნეფარიძემ. ამჟამად ქარხანაში ავტომანქანისათვის საჭირო სხვადასხვა ჭანჭიკების დამზადება ხდება სახარატო ჩარხზე, რაც მოითხოვს დიდ დროს და იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. ინჟინერ ნეფარიძის წინადადებით ჭანჭიკების დამზადება შეიძლება მოწესრიგდეს სპეციალურ სატვიფრავ წნეხზე, რომელიც სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული. დატვიფრვის წესით ამ წნეხზე ჭანჭიკების დამზადება შედეგად მოგვცემს პროდუქციის გამოშვების რაოდენობრივად და ხარისხობრივად ზრდას და თვითღირებულების ექვსჯერ შემცირებას.

საწარმოო ფართობისა და მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში რაციონალიზატორების ჩაბმამ ქარხნის კოლექტივს უკვე მისცა შედეგი. ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა ამ მიმართულებით მუშაობის უფრო გაღრმავება.

გ. ჩიქვინიძე

ზრდიან პროდუქციის გამოშვებას

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმკომბინატის საწარმოებში გულდასმით გაეცნენ ამხანაგ სტალინისადმი მოსკოვის 88 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა წერილს. კომბინატში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსები და სტახანოველი ფეიერები შეუდგნენ კონკრეტული ღონისძიებების დამუშავებას საწარმოო ფართობის რაციონალურად გამოყენებისა და არსებული მოწყობილობის სრული სიმძლავრით დატვირთვისათვის.

რამდენიმე ხნის წინათ აბრეშუმის საქსოვ საამქროში გამართეს 150 ახალი საქსოვი დაზგა, რითაც თვალსაჩინოდ გაადიდეს ძვირფასი ქსოვილების — კრეპსატინის და კრეპჟორჟეტის გამოშვება.

წინასწარი ვარაუდით, კომბინატის საწარმოებში შესაძლებელია კვლავ გამოინახოს თავისუფალი საწარმოო ფართობი 80 ახალი საქსოვი დაზგის დამატებით გასამართავად. ეს შესაძლებლობას მისცემს კომბინატს მოგვცეს სულ ცოტა ნახევარი მილიონი მეტრით მეტი ქსოვილი.

პირველი ნაბიჯები

საწარმოო ფართობების მეტი ნაყოფიერებით გამოყენებისათვის თბილისს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა ამოცანად დაისახა უახლოეს ხანში, ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე, კომბინატის არსებულ საწარმოო ფართობზე გამონახოს ადგილი და გამართოს 38 ახალი სართავი დანადგარი. აქ შეისწავლეს ამ მხრივ არსებული შესაძლებლობანი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ახალ დანადგართათვის ადგილის გამონახვა არ გაუჭირდებათ. გამოირკვა აგრეთვე, რომ დანადგართა ბრუნვის სისწრაფის მომატებით, მათი სრული დატვირთვით შესაძლებელი იქნება პროდუქციის გამოშვების გადიდება სულ ცოტა 5 პროცენტით.

საკითხის შემდგომმა შესწავლამ ცხადყო, რომ კომბინატის ყველა მუშა არაა სათანადო კვალიფიკაციისა და ვერ ფლობს შრომის გაუმჯობესებულ მეთოდებს. ამიტომ დაადგინა პირველ რიგში მთავარი ყურადღება მიექცეს კომბინატის მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების პოპულარიზაციას — მფთილავ ნ. ბარნაბიშვილის, მქსოველ დ. ბედოშვილის, მრთველ ნ. გეჯაძის და სხვათა მუშაობის მეთოდების მასობრივად დანერგვას ყველა საამქროში და ყველა აგრეგატზე.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილია სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია.

ლენინური „ისკრის“ როლი მარქსისტული პარტიის აგების საქმეში

გ. ჯინჭარაძის (თბილისი) შეკითხვა

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი რუსეთში აღინიშნა ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით. დიდ სამრეწველო ქალაქებში სულ უფრო ხშირად იმართებოდა მუშათა დემონსტრაციები და ეწყობოდა გაფიცვები, რომლებსაც აშკარა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ და რომლებიც ათასობით მუშას მოიცავდნენ. იგრძნობოდა რევოლუციის ქარიშხლის მოახლოება. „მუშათა მოძრაობის აღმავლობის ზრდა და რევოლუციის აშკარა მოახლოება მოითხოვდნენ მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნას, ისეთი პარტიისა, რომელიც შეძლებდა რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“. გვ. 40).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რომელიც რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის ხელისუფლებამ 1895 წლის დეკემბერში დააპატიმრა, ხოლო 1897 წელს შორეულ ციმბირში, სოფელ შუშენსკოეში გადაასახლა, მთავარ მოვიგ ამოცანად მუშათა პარტიის, მარქსისტული პარტიის შექმნის გზაზე მიაჩნდა საერთო-რუსული არალეგალური პოლიტიკური გაზეთის გამოცემა.

მრავალი წვრილი მარქსისტული წრე და ორგანიზაცია, რომლებიც მაშინ რუსეთში არსებობდნენ, ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული, არ ჰყავდათ საერთო ხელმძღვანელი, არ გააჩნდათ მოქმედების ერთიანი პროგრამა, არ ჰქონდათ ერთიანი მუშაობის ტაქტიკური ხაზი. ამ მომენტში, როდესაც ი. ბ. სტალინის თქმით „კუსტარულობა და წვრილბანა ღრღნიდნენ პარტიას თავიდან ბოლომდე, როდესაც იდეური დაბნეულობა პარტიის შინაგანი ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის შექმნა რუსეთის რევოლუციური მარქსისტების ძირითადი ამოცანა იყო“.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის დროს განიზრახა შეექმნა ასეთი გაზეთი. საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოცემა რუსეთში შეუძლებელი იყო, რადგან პოლიციელები და ჯაშუშები მას მალე აღმოაჩენდნენ და გაანადგურებდნენ. ამიტომ ლენინს აუცილებლად მიაჩნდა, რომ ასეთი გაზეთის გამოცემა მოწყობილიყო საზღვარგარეთ, საიდანაც იგი რუსეთში არალეგალურად უნდა შემოეტანათ და გაევრცელებინათ მარქსისტულ წრეებსა და მუშათა მასებში.

1900 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინს ციმბირში გადასახლების ვადა გაუთავდა. გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა რევოლუციური გაზეთის გამოშვების შესახებ თავისი გეგმის განხორციელებას, გეგმისა, რომელიც მას დეტალურად ჰქონდა დამუშავებული.

რუსეთში სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 1900 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა იქ შეთანხმებოდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს მებრძოლი პოლიტიკური გაზეთის გამოშვების შესახებ. 1900 წლის დეკემბერში ქ. ლაიფციგში გამოვიდა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. გაზეთის სული და გული, მისი ორგანიზატორი, ფაქტიური ხელმძღვანელი იყო ლენინი. გაზეთს სათაურის ქვეშ ეპიგრაფად ჰქონდა დეკაბრისტების მიერ პუშკინისადმი პასუხად გაგზავნილი ლექსის სიტყვები „ნაპერწკლიდან აინთება ალი“.

„ისკრამ“ ლენინის ხელმძღვანელობით უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის საქმეში.

რუსეთში მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბება მთელ რიგ სასტიკ წინააღმდეგობებსა და სიძნელეებს აწყდებოდა. ერთ-ერთი მთავარი სიძნელე ის იყო, რომ პარტიის შექმნა ხდებოდა ცარიზმის პირობებში, ცარიზმისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ახშობდა რევოლუციურ მოძრაობას. მეფის მთავრობა სასტიკად სდევნიდა რევოლუციონერებს, ციხეებში ჰყრიდა, გადასახლებასა და კატორღაში გზავნიდა მათ. პარტიის შექმნის საქმეში მეორე მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა ის, რომ ადგილობრივი კომიტეტებისა და მათი ხელმძღვანელი მუშაკების მნიშვნელოვან ნაწილს არ ესმოდათ ორგანიზაციულად და იდეურად ერთიანი პარტიის არარსებობის დამღუპველი ხასიათი. მათ სავსებით ნორმალურად მიაჩნდათ პარტიის დაქსაქსულობა, იდეური დაბნეულობა. ამ დაქსაქსულობისა და იდეური დაბნეულობის მეხოტბენი იყვნენ „ეკონომისტები“.

იმ საკითხზე, თუ რით უნდა დაწყებულიყო ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის აგება, სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობდა. ზოგიერთების აზრით, პარტიის აგება უნდა დაწყებულიყო II ყრილობის მოწვევით, რომელიც ადგილობრივ ორგანიზაციებს ერთ პარტიად გააერთიანებდა. ვ. ი. ლენინმა ასეთი შეხედულების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა. ლენინის აზრით, ყრილობის მოწვევამდე საჭირო იყო პარტიის მიზნებისა და ამოცანების საკითხის ნათლად გარკვევა, იმის გარკვევა, თუ როგორი პარტია უნდა შეექმნათ, საჭირო იყო „ეკონომისტებთან“ იდეურად გამიჯვნა.

ლენინი პირდაპირ ამბობდა:

„სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ“ (თხზ. ტ. 5, გვ. 458).

ლენინის აზრით, მარქსისტული პარტიის აშენება უნდა დაწყებულიყო საერთო-რუსული არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსებით. ასეთი გაზეთი, რომელიც გასწევდა რევოლუციური იდეების ფართო პროპაგანდას და აგიტაციას, საშუალებას მისცემდა ადგილობრივ ორგანიზაციებს მოეხდინათ არჩევანი იმ ორ მიმდინარეობას შორის, რომელიც მაშინ რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებობდა. გარდა ამისა, საერთო რუსეთის რევოლუციურ გაზეთს, პარტიის იდეური დარაზმვისათვის პროპაგანდისტულ და საგიტაციო მუშაობასთან ერთად დიდი ორგანიზაციული მუშაობა უნდა გაეწია ადგილობრივი ორგანიზაციების გაერთიანების მიზნით. „ასეთი გაზეთის აგენტთა და კორესპონდენტთა ქსელი, რომლებიც ადგილობრივი ორგანიზაციების წარმოადგენლები იქნებიან, გახდებოდა იმ ჩონჩხად, რომლის ირგვლივაც პარტია ორგანიზაციულად შემოიკრიბებოდა“ („მოკლე კურსი“, გვ. 42), რადგან „გაზეთი,—როგორც ამას ამბობდა ლენინი,—არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიცაა“.

ამასთან ერთად, ლენინმა მკაფიოდ გვიჩვენა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პარტიის ორგანიზაციული აგებულება და მისი შემადგენლობა.

ლენინმა გენიალურად განსაზღვრა მარქსისტული პარტიის ხასიათი, მისი მიზნები და ამოცანები. ლენინის აზრით, პარტია არის მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი, მისი ხელმძღვანელი და დამრაზმავი ძალა.

მუშათა პარტიის აგების ლენინური გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ „ეკონომისტები“.

„ეკონომისტები“ უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას, ამბობდნენ, რომ მუშები მეწარმეებთან და მთავრობასთან მხოლოდ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ხელფასის მომატებისათვის ბრძოლით უნდა დაკმაყოფილდნენ, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა მათი ძირითადი ამოცანა არ არის, პოლიტიკური ბრძოლა ბურჟუაზიის საქმეა და ის მან უნდა აწარმოოსო. „ეკონომისტები“ ქედს იხრიდნენ სტიქიურობის წინაშე, არ აფასებდნენ რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას, მუშებში სოციალისტური შეგნების შეტანის მნიშვნელობას. სოციალისტურ შეგნებას მუშათა კლასი თავისთავად, სტიქიურად გამოიმუშავებსო, — ლაპარაკობდნენ ისინი. გარდა ამისა, ისინი უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს. მათი აზრით, პარტია მუშათა კლასის ბელადი, ორგანიზატორი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მომხდარი მოვლენების უბრალო რეგისტრატორი, იგი წინ კი არ უნდა გასძღოლოდა მუშათა კლასს, არამედ უკან უნდა გაჰყოლოდა.

გაზეთძა „ისკრამ“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით სასტიკად გაილაშქრა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ლენინმა „ისკრაში“ დაბეჭდილ წერილებსა და თავის უკვდავ შრომაში — „რა ვაკეთოთ?“ სავსებით გამოააშკარავა „ეკონომისტების“ შეხედულებათა მცდარი, მავნებლური, მოღალატური ხასიათი.

ლენინმა დაასაბუთა, რომ მუშათა კლასის ჩამოშორება ცარიზმის წინააღმდეგ საერთო პოლიტიკური ბრძოლისაგან, მეწარმეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლით მისი ამოცანების შეზღუდვა პროლეტარიატის ღალატი იყო. ლენინმა გვიჩვენა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში მუშათა კლასის აქტიურად ჩაბმა აუცილებლობას წარმოადგენდა. კაპიტალიზმის დამხობასა და სოციალიზმის დამყარებას პროლეტარიატი ვერ შეძლებდა, თუ არ მოსპობდა მეფის თვითმპყრობელურ წყობილებას.

ლენინმა დაასაბუთა, რომ მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა და პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფა ნიშნავს „მაჩანჩალობის“ ქადაგებას, მუშათა კლასის დატოვებას უხელმძღვანელოდ. ლენინმა გვიჩვენა, რომ, თუ პარტია არა ჰყავს, მუშათა კლასს არ შეუძლია გამოჯანმრთელოს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტია მუშათა კლასის ბელადი, მისი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალაა.

ლენინმა დაასაბუთა რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, ყველა მშრომელთა გამარჯვებისათვის. „რევოლუციური თეორიის გარეშე, — ამბობდა ლენინი, — შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც. მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“ (თხზ. ტ. 5, გვ. 461-462).

ლენინმა გვიჩვენა, რომ „ეკონომისტები“ ღალატობდნენ მუშათა კლასს, როცა ამტკიცებდნენ, რომ სოციალისტური იდეოლოგია თითქოს თავისთავად გამომუშავდება მუშათა კლასში, თითქოს მუშებში მისი გარეთან შეტანა არ იყოს საჭირო. ლენინმა გაანადგურა „ეკონომისტების“ ეს თვალსაზრისიც და დაასაბუთა, რომ მუშათა მასებს თვითონ არ შეუძლიათ სოციალისტური იდეოლოგიის შემუშავება, რომ მოძღვრება მეცნიერული კომუნიზმის შესახებ მუშათა მასებში გარედან უნდა იქნას შეტანილი.

ვ. ი. ლენინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ მოგვცა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალური დამუშავება.

„ისკრის“ შემდეგ ყველაზე საუკეთესო, ყველაზე რევოლუციური გაზეთი რუსეთში იყო გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც გამოდიოდა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. „ბრძოლა“, რომელიც ბაქოში იბეჭდებოდა, იცავდა და ავითარებდა ლენინურ-ისკრულ იდეებს, განუხრელად ებრძოდა ოპორტუნიზმს, რაზმავდა და ბრძოლაში აწრთობდა ამიერკავკასიის რევოლუციურ ორგანიზაციებს, იბრძოდა მუშათა მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდისა და თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მათი დარაზმვისათვის.

გაზეთ „ისკრისა“ და ლენინის შეუპოვარი ბრძოლა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ წარმატებით დამთავრდა. „ეკონომისტები“ განადგურებულ იქნენ.

ლენინურმა „ისკრამ“ მოამზადა ნიადაგი მარქსისტული პარტიის ჩამოყალიბებისათვის და სათავეში ჩაუდგა პარტიის II ყრილობის მოწვევის საქმეს. „ისკრის“ რედაქციამ დიდი მუშაობა გასწია პარტიის პროგრამისა და წესდების შესამუშავებლად. პროგრამის პროექტის განხილვისას უთანხმოება ჩამოვარდა რედაქციაში განსაკუთრებით ლენინსა და პლეხანოვს შორის, რასაც კიბაღამ რედაქციის შემადგენლობის გათიშვა მოჰყვა. პლეხანოვის მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი არ იყო დამაკმაყოფილებელი, ლენინმა იგი სასტიკად გააკრიტიკა. პლეხანოვი იძულებული იყო პროექტის პირველი ვარიანტი უკანვე წაეღო და მეორე ვარიანტი წარმოედგინა, რომელიც ლენინმა კვლავ მკაცრად გააკრიტიკა. „ისკრის“ რედაქციამ მიიღო ლენინის მთელი რიგი შესწორებანი, რაც შეტანილ იქნა პლეხანოვისეულ პროექტში. ლენინის მიერ შეტანილი შესწორებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რასაც პლეხანოვის პროექტი გვერდს უვლიდა. ლენინმა დაწერა პროგრამის პროექტის აგრარული ნაწილი. მანვე შეიმუშავა აგრეთვე პარტიის წესდების პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა „ისკრის“ რედაქციის მიერ.

დიდი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ 1903 წ. 17 ივლისს—10 აგვისტოს ლონდონში შედგა რსდმპ II ყრილობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მუშათა მოძრაობის ისტორიაში. ყრილობამ ხანგრძლივი დავის შემდეგ მიიღო „ისკრის“ რედაქციის მიერ წარმოდგენილი პროგრამისა და წესდების პროექტები.

მაგრამ წესდების პროექტის პირველი პარაგრაფის გამო, რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ითვლებოდეს პარტიის წევრად, ყრილობაზე მოხდა განხეთქილება. ლენინის ფორმულირება ამბობდა, რომ პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, მატერიალურად ეხმარება პარტიას და მუშაობს მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში. „მარტოვის ფორმულირება კი, თვლიდა რა პარტიის პროგრამის აღიარებას და პარტიისათვის მატერიალურ დახმარებას პარტიის წევრობის აუცილებელ პირობებად, პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში მონაწილეობას არ თვლიდა პარტიის წევრობის პირობად...“ („მოკლე კურსი“, გვ. 54). ლენინის ფორმულირება მიზნად ისახავდა მტკიცე, შემჭიდროებული, მებრძოლი, რევოლუციური პარტიის შექმნას; მარტოვის ფორმულირება კი — არაორგანიზებული, რაღაც ჩამოუყალიბებელი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ყველას გაუღებდა პარტიის კარს.

ყრილობამ, რომელიც ამ შემთხვევაში ვერ აღმოჩნდა თავისი მოწოდების სიმაღლეზე, მიიღო მარტოვის ფორმულირება, რადგან მას მიემხრნენ როგორც ანტიისკრელები, ისე მერყევი ისკრელები. ლენინს მხარი დაუჭირეს მტკიცე ისკრელებმა.

1905 წელს პარტიის III ყრილობამ წესდების პირველი პარაგრაფი შეცვალა და მიიღო ლენინის ფორმულირება.

მეორე ყრილობის შემდეგ გაზეთი „ისკრა“, 52-ე ნომრიდან, იმის გამო, რომ პლეხანოვი აშკარად გადავიდა მენშევიკების მხარეზე, ხელთ იგდეს მენშევიკებმა. „ისკრა“ გახდა მენშევიკური, რომელიც ქადაგებდა ოპორტუნისტულ იდეებს, ებრძოდა რევოლუციურ მარქსისტებს — ბოლშევიკებს. ამის შემდეგ პარტიაში ძველ „ისკრაზე“ ლაპარაკობენ, როგორც ლენინურ „ისკრაზე“, ხოლო ახალ „ისკრას“ მენშევიკურს, ოპორტუნისტულ „ისკრას“ უწოდებენ. ლენინმა, ბოლშევიკებმა 1904 წლის ბოლოს შექმნეს თავიანთი რევოლუციური გაზეთი „ვპერიოდი“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის III ყრილობის მოწვევისა და 1905 წ. რევოლუციისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციის დარაზმვის საქმეში.

* * *

დიდია ლენინური „ისკრის“ დამსახურება რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინაშე. ამ დამსახურების შეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის მიმოხილვა

გაზეთს ბოლომდე არ მიჰყავს დაწყებული საქმე

როცა გავაზელთა ინიციატივით სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა საოფლო საბჭოებს შორის, ძას საძტრედიის რაიონში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ეწრის სასოფლო საბჭო. სასოფლო საბჭოს სესიაზე, სადაც გავაზელთა მოწოდება განიხილეს, სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ი. ტაბიძემ. ძან ილაბარაკა კოლმეურნეთა ბინების ელექტროფიცირებისა და რადიოფიცირების აუცილებლობაზე. დეპუტატმა ა. კახიძემ წამოაყენა ეწერში საექიმო პუნქტისა და აფთიაქის მოწყობის საკითხი. ი. ივანიშვილმა და გ. ლეკვეიშვილმა ყურადღება გაამახვილეს გზისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობის, ახალი ბიბლიოთეკის აგების საკითხებზე. დეპუტატებმა ბევრი სხვა მნიშვნელოვანი წინადადებაც წამოაყენეს. სესიამ ამ წინადადებათა საფუძველზე კონკრეტული ვალდებულებანი იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება იანეთის სასოფლო საბჭოსთან.

ამის შესახებ სამტრედიის რაიონულ გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ მიმდინარე წლის 2 ივნისის ნომერში მოთავსებულია წერილი — „მხარი დაეუჭიროთ გავაზელთა პატრიოტულ ინიციატივას“. თითქმის ერთი თვის შემდეგ, 28 ივნისს გაზეთმა დაბეჭდა წერილი „გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება“, რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ რაიონის სასოფლო საბჭოები გავაზელთა მოწოდების პასუხად. ამის შემდეგ კი გაზეთში არც ერთი წერილი არ დაბეჭდილა სასოფლო საბჭოს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ. მოლოდინი, რომ გაზეთი ფართოდ გაშუქებდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, გამოავლენდა შეჯიბრების მოწინავე ადამიანებს, გააკრიტიკებდა ჩამორჩენილებს, არ გამართლდა. საერთოდ ივლისში გაზეთს საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე არც ერთი წერილიც არ დაუბეჭდია, აგვისტო-ოქტომბერში კი მხოლოდ რამდენიმე საინფორმაციო ხასიათის წერილით დაკმაყოფილდა. ერთი მათგანი ეხება ბაშის სასოფლო საბჭოს ახალი შენობის აგების საქმეში საბჭოს აქტივის მონაწილეობას, მეორე — წიაღუბნის სასოფლო საბჭოს სუსტ მუშაობას, დანარჩენი კი სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და სესიების მოკლე ანგარიშებია. ხუთი თვის განმავლობაში (ივნისი-ოქტომბერი) გაზეთს არც ერთი მოწინავე წერილი არ დაუბეჭდია საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე.

გაზეთი სრულებით არ აშუქებს მუდმივი კომისიების მუშაობას, არ განაზოგადოებს ძათს გაძოცდილებას.

„სოციალისტურ შეტევას“, რომელიც ორ დღემი ერთხელ გამოდის, ყველა შესაძლებლობა აქვს თავის ფურცლებზე აჩვენოს სასოფლო საბჭოებისა და მათი დეპუტატების მრავალმხრივი საქმიანობა, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. გაზეთში ვერ შეხვდებით წერილებს იმის შესახებ, თუ როგორია დეპუტატის კავშირი ამომრჩევლებთან, როგორ ასრულებენ ისინი ამომრჩეველთა განაწესს და სხვ.

4 აგვისტოს ნომერში გაზეთძა საინტერესო მასალები დაბეჭდა რუბრიკით „გადავაქციოთ ჩვენი რაიონი მთლიან რადიოფიცირებულ რაიონად“. ამ მასალებს შორის იყო სოფელ ნაფაღაურის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა და კავშირგაბმულობის კვანძის მუშაკთა მიმართვა რაიონის ყველა კოლმეურნისა და მუშა-მოსამსახურისადმი. მაგრამ ამის შემდეგ მთელი ორი თვის მანძილზე გაზეთში არც ერთი წერილი აღარ დაბეჭდილა იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურნენ რაიონის მშრომელები აღნიშნულ მიმართვას და რა ღონისძიება განხორციელდა რაიონის მთლიანად რადიოფიცირებისათვის. ეს იმას ამტკიცებს, რომ გაზეთი ბოლომდე არ მიხდევს წამოწყებულ საქმეს.

გაზეთში გვხვდება ზოგიერთი შეცდომაც. მაგალითად, 3 სექტემბრის ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდილია ინფორმაცია სათაურით „რაისაბჭოს აღმასკომის მე-9 სესია“. ნუთუ რედაქციის მუშაკებმა არ იციან, რომ ეწყობა **რაისაბჭოს** სესია და არა რაისაბჭოს **აღმასკომის** სესია? ამას ჩვენ შემთხვევითი ხასიათის შეცდომად მივიჩნევდით, 13 სექტემბრის ნომერშიც იგივე რომ არ მეორდებოდეს. ამ ნომერში დაბეჭდილია ოქტომბრის სასოფლო საბჭოს სესიის მოკლე ანგარიში, სადაც ნათქვამია: „ოქტომბრის სასოფლო საბჭოს **აღმასკომმა** (თავმჯდომარე დ. შენგელია) ამ დღეებში **თავის მორიგ სესიაზე** განიხილა საკითხი მოსავლის აღებისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ“. როგორც ჩანს, გაზეთის რედაქტორი ვ. მეგრელიშვილი და რედაქციის მუშაკები ზერელედ ეკიდებიან საგაზეთო მასალის დამუშავების საქმეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომმა სათანადო ღონისძიებანი უნდა დასახოს გაზეთ „სოციალისტური შეტევის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კომბინაჟორები და მათი მფარველები სასჯიკად უნდა დაისაჯონ

საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დარღვევა, მოძხმარებელთა მოტყუება და მათი ინტერესების აბუჩად აგდება ადიგენის რაიონში ხშირად ხდება. პასუხისმგებელ პირებად ზოგ მაღაზიაში ჯერ კიდევ მუშაობენ წამგლეჯნი და კომბინატორები. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მომხმარებელთა სამართლიან სიგნალებს და დაზნაშავეთა მიმართ ლმობიერებას იჩენენ.

რაიონის ცენტრში არის სასურსათო მაღაზია, რომლის გამგე ვ. კინწურაშვილი სარეალიზაციოდ მიღებულ პროდუქტებს ხშირად მალავდა. 1949 წლის 2 მარტს მას დახლის ქვეშ გადამალული აღმოაჩნდა 10 კილოგრამი შაქარი და ორი ყუთი სარეცხი საპონი, რომელსაც „შინაურულად“ ანაწილებდა. 27 ივლისს აბასთუმნის კულორტ-ვაჭრობის ადიგენის სავაჭრო ფარდულში 100 კილოგრამი შაქარი მიიღეს გასაყიდად. ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგემ ნადირა ნოვრუზოვამ შაქრის თავისუფლად გაყიდვა აკრძალა და გამყიდველ კაზაზიანს სახელდახელოდ შედგენილი სია გადასცა, რომლის მიხედვით ზოგს 6 კილოგრამი შაქარი არგუნა, ზოგს 5 და ა. შ.

რაიკოოპკავშირის სასადილოს გამგედ მუშაობს საბჭოთა ვაჭრობის სისტემაში შემთხვევით მოხვედრილი ვინმე კაინო გოდერიძე. ცეკავშირის გამგეობამ 1949 წლის 7 მაისის დადგენილებით გოდერიძე მოხსნა სამუშაოდან სავაჭრო წესების სისტემატური დარღვევისათვის, მაგრამ მას ადგილზე აღმოუჩნდნენ მფარველები და დასჯის ნაცვლად... შეუთავსეს ღვინის საწყობის გამგისა და სასადილოს მომმარაგებლის თანამდებობანი. კ. გოდერიძე ამჟამადაც თავს მშვენივრად გრძნობს და ძველებურად „მოღვაწეობს“. აღსანიშნავია, რომ კ. გოდერიძეს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა კრებამ 1949 წლის 26 მარტს აცილება მისცა და დაავალა რაიკოოპკავშირის გამგეობას მისი, როგორც ვაჭრობის უღირსი მუშაკის, მოხსნა. გამგეობამ არც მაშინ შეასრულა გოდერიძის მიმართ მიღებული სწორი გადაწყვეტილება.

აი ზოგიერთი ფაქტი გოდერიძის „მოღვაწეობიდან“.

გასული წლის 11 ნოემბერს გოდერიძემ სასადილოს მეშვეობით უფაქტოროდ გაყიდა 62 ლიტრი ღვინო და დაწესებული ღირებულების 11 მანეთის ნაცვლად, ლიტრ ღვინოში აიღო 22 მანეთი.

მიმდინარე წლის 11 ივლისს გოდერიძემ წარმოადგინა 1.400 ლიტრი თეთრი ღვინის ყიდვის აქტი, აქტში უჩვენა, რომ ღვინო იყიდა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათში მცხოვრებ იონა ივანეს-ძე არწიეიძისაგან და ლიტრში გადაიწადა 11 მანეთი. ამგვარად მან 15.400 მანეთი მიიღო. იმავე ხანებში გოდერიძემ დამატებით 1000 ლიტრი ღვინის ყიდვის აქტიც წარმოადგინა, ამჯერად ლიტრი ღვინის ღირებულება 12 მანეთამდე გაზარდა. გამოძიებამ დაადასტურა, რომ აქტში ნაჩვენები ღვინის გამყიდველი—ი. არწიეიძე არც სოფელ ფერსათში და არც საერთოდ მაიაკოვსკის რაიონში არავინაა. ასე რომ, ვისგან შეიძინა გოდერიძემ ღვინო ან რა ფასში, ამის გამოძიებაა ძნელია

კ. გოდერიძე სასადილოში თვითნებურად სამუშაოდ აწყობს შეუმოწმებელ პირებს. ბუფეტის გამგე ა. ვლასენკოს 11 სექტემბერს აღმოაჩნდა 60 ლიტრი ღვინო უფაქტუროდ. უფაქტუროდ ვაჭრობის შემთხვევა მას სხვა დროსაც ჰქონდა. 14 ივლისს იგი უფაქტუროდ ყიდდა ბაზარზე შეძენილ 20 კილოგრამ ატამს და ბალს. ა. ვლასენკოს რატომღაც დღემდე არაფერს ეუბნებიან ამ დანაშაულისათვის.

სავაჭრო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ბოროტმოქმედთა დასჯის ნაცვლად რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელები, პირველ რიგში მისი თავმჯდომარე პავლე კაკოშვილი, დამნაშავეებს მფარველობას უწევენ და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ. ვ. კინწურაშვილი რაიონის ცენტრის სასურსათო მაღაზიიდან, დანაშაულს აღმოჩენის შემდეგ, ზანავის სოფლის მაღაზიის გამგედ იქნა გადაყვანილი. იგი აქაც ჩვეული წესით განაგრძობდა „მუშაობას“. 10 სექტემბერს მას გადამალული აღმოაჩნდა დიდი რაოდენობის სარეცხი საპონი, ასანთი და სხვ., ახლა კი კინწურაშვილი ცენტრალური სამრეწველო მაღაზიის გამგედაა დაწინაურებული. რაიკოოპკავშირის მთავარ ბუხჰალტრად მუშაობს ვ. ვახრამიშვილი, რომელიც კომბინაციებისათვის ორჯერ არის პასუხისგებაში ნამყოფი.

რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობით აიხსნება, რომ ბევრ სასოფლო მაღაზიაში, (მაგალითად, ვარხანი, ბენარა, წახანი, ხევაშენი, ჭეჭლა) არაა დაცული საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი. იშვიათადაა ასანთი, საპონი, ნავთი, თამბაქოს ნაწარმი და სხვ. ხშირია კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-განიავების შემთხვევები. ვარხნის სასაუზმის გამგე გობელიძემ 5.000 მანეთი გაფლანგა მოკლე დროში და იგი დღესაც დაუსჯელია. მნიშვნელოვანი საფინანსო ოპერაციები ეწყობა სახელმწიფო ბანკის გვერდის ავლით.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები. საბჭოთა ვაჭრობის დარგის მუშაკთა ნიღაბით მოქმედი კომბინატორები და მათი გულშემატკივრები სასტიკად უნია დაისაჯონ.

ნ. ფარჯანაძე

არტილერიის დღის აღსანიშნავად

არტილერიის დღის მოახლოებასთან დაკავშირებით თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა საუბრები, მოხსენებები არტილერიის ისტორიაზე, საბჭოთა არტილერიის უდიდეს როლზე საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში და სხვ.

კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში მოწყობილია არტილერიის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილია ფოტოგამოფენა. აქ წარდგენილი მასალები ასახავენ არტილერიის ისტორიას, მის როლს სამამულო ომში. აქვეა არტილერისტი მეომრების—საბჭოთა კავშირის გმირების და სამხედრო-პოლიტიკური სწავლების მოწინავეთა ფოტოსურათები.

19 ნოემბერს ოფიცერთა საოლქო სახლში შედგება არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

ოფიცერთა სახლის ანსამბლი და თვითმოქმედი წრეები საღამო-კონცერტებს მართავენ სამხედრო ნაწილებსა და ფაბრიკა-ქარხნებში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 ნოემბრის ცნობებით)

სიმინდის ტეხა

ნოემბრის მესამე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში აღებულია 27.698 ჰექტარი სიმინდი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 91,6 პროცენტით. სიმინდის აღება დამთავრებულია 25 რაიონში, მათ შორის გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოს, წულუკიძის, ზესტაფონის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, კაჭრეთის რაიონებში.

აფხაზეთში სიმინდის აღების გეგმა შესრულებულია 50,3 პროცენტით, აჭარაში—92,7, ჩოხატაურის რაიონში — 72,7, ლანჩხუთის — 79,9, მარნეულის—74,4, ასპინძის — 89,1, დმანისის—83,3, წალენჯიხის — 85,9, ხობის—86,1, დანარჩენ რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში—90-ზე მეტი პროცენტით.

მზრალად ხვნა

15 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მზრალად მოხნულია 127.791 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 85,2 პროცენტით.

ხვნის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ქუთაისის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხაშურის, თიანეთის, წითელწყაროსა და ყვარლის რაიონებმა.

გეგმის შესრულებას მიუახლოვდნენ ქარელის, წალკის, ახმეტის, გარდაბნის, მცხეთის, ლაგოდეხის, თელავის, სიღნაღის, თეთრი წყაროს, ბორჯომის, ასპინძის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ვანის რაიონში გეგმა შესრულებულია 40 პროცენტით, საგარეჯოს—39,9, კასპის—45,8, დმანისის—49,5, ბოლნისის—51,6, კაჭრეთის—59,7, ადიგენის — 64, გორის—77,1, ახალციხის—76,8, დუშეთის—74, გურჯაანის—79,8, თბილისის—74,5, მარნეულის რაიონში — 78,2 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება

გეგმით გათვალისწინებული 5.974 ჰექტარიდან შაქრის ჭარხალი აღებულია 5.847 ჰექტარზე. მოსავლის აღება დამთავრებულია სამხრეთ ოსეთში და ხაშურის რაიონში.

ქარელის რაიონში აუღებელია 6 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, გორის — 15, კასპის რაიონში—106 ჰექტარი.

ბამბის კრეფა

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებში ბამბის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 106,2 პროცენტით, ბოლნისის—95,3, მარნეულის რაიონში—90,2 პროცენტით.

კარტოფილის აღება

კარტოფილის მოსავლის აღება დამთავრებულია საჩხერის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ქვემო სვანეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ასპინძის, ხაშურის, გორის, წალკის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, თბილისისა და ბოლნისის რაიონებში. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 97,2 პროცენტით.

გარდაბნის რაიონში დავალება 39 პროცენტით არის შესრულებული, ქუთაისის—28,6, ცაგერის—55, ჭიათურის —65,4, ვანის—80, რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებსა და აჭარაში—90-ზე მეტი პროცენტით, აფხაზეთში—74,8 პროცენტით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის დღეკანდელი სხდომა ამერიკული და უცხოთის პრესის წარმომადგენლებისა და ამერიკელი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. შენობა, რომელშიც კომიტეტს სხდომები აქვს, სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე აივსო ხალხით. სხდომას ეთერში გადასცემდნენ სატელევიზიო გადამცემებითა და რადიოთი.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კომიტეტი გადადის ახალი ომის მომზადების დაგმობის, ატომური იარაღის აკრძალვისა და ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების საკითხის განხილვაზე, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ შემოიტანა, და სიტყვა მისცა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურს ა. ი. ვიშინსკის, რომელიც გამოვიდა ვრცელი, ფაქტებით აღსავსე სიტყვით, რაც ყველა დამსწრემ დიდი ყურადღებით მოისმინა.

23 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობის დაგალებთ, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გენერალურ ასამბლეას წარუდგინა პროექტი დადგენილებისა ახალი ომის მომზადების დაგმობის და მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ.

ეს წინადადებანი მოკლედ შემდეგია:

1. დაგმობილ იქნას ახალი ომის მზადება, რაც მთელ რიგ ქვეყნებში და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში წარმოებს.

2. მიჩნეულ იქნას, როგორც ხალხების სინდისისა და პატიოსნების საწინააღმდეგო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი კუთვნილებასთან შეუთავსებელი, ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა გამოყენება და მიუღებლად იქნას მიჩნეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ატომური იარაღის აუცილებლად აკრძალვისა და სათანადო სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის პრაქტიკული ზომების მიღების გაჭიანურება.

3. გამოთქვას სურვილი, რომ ხუთმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჩინეთმა, საფრანგეთმა და სსრ კავშირმა — გააერთიანოს თავისი ღონისძიებანი ახალი ომის საფრთხის აღკვეთის მიზნით და დადოს ერთმანეთ შორის პაქტი მშვიდობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, გამოაქვეყნა რა საბჭოთა წინადადებების ტექსტი, აღნიშნა, რომ ეს წინადადებანი მშვიდობის იმ საგარეო პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია, რომელსაც საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფოს დაარსებიდანვე. ისინი წარმოადგენენ იმ პრინციპული ხაზის გამოხატულებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს თავისი არსებობის 32 წლის მანძილზე, რომელსაც იგი თანმიმდევრულად იცავდა და იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის ყველა სესიაზე საბჭოთა მთავრობა გამოდის წინადადებებით, რომელიც მიმართულია მშვიდობის დასაცავად, ომის ისტერიის წინააღმდეგ, ახალი ომის გაჩაღების პროპაგანდის წინააღმდეგ. 1946 წელს გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა განხორციელებულიყო შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო შემცირება. საბჭოთა მთავრობამ ამით გამოხატა მტკიცე მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისაკენ. და მზადყოფნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სისტემების სოციალურ-ეკონომიურ საქმეებში მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის. გენერალური ასამბლეის მეორე სესიაზე 1947 წელს საბჭოთა მთავრობამ იკისრა კეთილშობილური ინიციატივა და დაგმო ახალი ომის მომზადება ყოველგვარი ფორმით, ხოლო მესამე სესიაზე წინადადება მისცა ხუთ დიდ სახელმწიფოს ერთი მესამედით შეემცირებინათ თავიანთი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, აეკრძალათ ატომური იარაღი და დაეწესებინათ საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის განხორციელებისადმი. ინგლის-ამერიკის უმრავლესობა, როგორც გენერალურ ასამბლეაში, ისე უშიშროების საბჭოში, დღემდე დაჟინებით და სისტემატურად უარყოფდა ყველა წინადადებას, რომელიც მიმართული იყო ახალი ომის მზადების წინააღმდეგ და მშვიდობის განსამტკიცებლად.

„საბჭოთა კავშირის ახლანდელი წინადადებანი,—აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ,—წარმოადგენენ იმ პრინციპული ხაზის გაგრძელებას, რომელსაც სსრ კავშირი განუხრელად ატარებს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. საბრძოლველად, ახალი ომისა, რომელსაც ამზადებენ ერთი მუჭა ავანტიურისტები — მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტები. საბჭოთა კავშირი, რომელსაც შემოაქვს თავისი წინადადებანი ახალი ომის საფრთხის აღკვეთისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით, კვლავ იმაღლებს თავის ხმას მშვიდობისმოყვარე ხალხთა დასაცავად, ადამიანთა ახალი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, რასაც ამზადებენ სახელმწიფოთა აგრესიული ბლოკები ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდ ბრიტანეთის მეთაურობით“.

ვის შეუძლია წავიდეს საბჭოთა კავშირის წინადადებათა წინააღმდეგ — პირდაპირ მიძართავს საბჭოთა დელეგაციის მეთაური კომიტეტის წევრებს — იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ დაგმობილ იქნას ახალი ომის მზადება, იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ, ბოლოს, აკრძალულ იქნას ატომური იარაღი და დაწესდეს სასტიკი საერთაშორისო კონტროლი, იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ხუთ სახელმწიფოს შორის დადებულ იქნას მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პაქტი, ვის შეუძლია წავიდეს ამის წინააღმდეგ, თუ არა მათ, ვინც ახალი ომის მომზადებასა და ახალ ომში ხედავს გამდიდრების წყაროს, ვინც ომში ხედავს მსოფლიო ბატონობის დამკვიდრებისა და სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა დამონების საშუალებას.

ა. ი. ვიშინსკის მოყავს მრავალი ფაქტი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკული მონოპოლიების წარმომადგენლები ახალი ომის მზადებაში ხედავენ გამდიდრების ხელსაყრელ წყაროს. ესენი არიან მშვიდობის გაფფორებული მოწინააღმდეგენი, რომლებმაც ომი და ომისათვის მზადება პროფესიად გაიხადეს, რომლებიც აღვივებენ ომის ფსიქოზს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში. ამ ბანაკიდან უკვე გაისმის სისინი და ღვარძლიანი „კრიტიკა“ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე წინადადებათა წინააღმდეგ. ეს ბანაკი გენერალურ ასამბლეაში აწყობს გომინდანის წარმომადგენელთა, ტიტოს ხროვისა და სხვათა მსგავსი ანტისაბჭოთა ძალების ცილისმწამებლურ შეტევას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეთაურობით გამოდის ასამბლეაში ღვარძლიანი ცილისმწამებლური მონაჭორით სსრ კავშირის წინააღმდეგ. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ ბანაკის წარმომადგენლები კვლავაც გამოვლენ საბჭოთა კავშირის წინადადებათა წინააღმდეგ, მოიგონებენ ყოველგვარ შენიშვნებსა და ახალ პროექტებს, რათა ჩაშალონ საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ამხილებენ ახალი ომის გამჩაღებელთა ბნელ გეგმებს.

ა. ი. ვიშინსკიმ დაწვრილებით გაარჩია ბევინის გამოსვლა გენერალური ასამბლეის ა. წ. 26 სექტემბრის სხდომაზე. ეს გამოსვლა სიგნალი გახდა საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ შეტევისათვის. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ამხილა სრული უნიადაგობა ბევინის ცდებისა, რომ გაერმართლებინა მშვიდობის საქმისადმი ისეთი მტრული ღონისძიებანი, როგორიცაა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის, ბრიუსელის ხელშეკრულების დადება, გერმანიის გათიშვა, გამალებული შეიარაღება და ცხადყო, რომ ბევინის გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ბევინის სხვა მონაჭორი საჭირო გახდა იმისათვის, რათა წინასწარ მოეწამლათ პოლიტიკური ატმოსფერო და საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოეცილებინათ სსრ კავშირის წინადადებებისათვის, რათა ცდილიყვნენ ძირი გამოეთხარათ ნდობისათვის ამ წინადადებებისადმი, რომლებიც მიმართულია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ.

ყველა ეს მანევრი, აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, ისევე როგორც კანადის წარმომადგენლის ცდა —„პროპაგანდად“ გამოეცხადებინა საბჭოთა წინადადებანი, ვერ უძლებენ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ფაქტებით შემოწმებას. ფაქტია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში ახალი ომის განწყვეტელი მზადება — სამხედრო ბაზების ორგანიზაცია, სამხედრო ბლოკების შექმნა, რომელიც ისახავენ აგრესიულ მიზნებს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ, სამარცხვინო დისკუსიები, რომლებსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწევიან იმის შესახებ, თუ როგორ სჯობია თავს დაესხან მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, როგორ სჯობია მილიონობით ადამიანის მოსპობა, მშვიდობიანი ქალაქებისა და მთელი სახელმწიფოების დანგრევა.

კანადის დელეგატს, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, გასაკუთრებით არ მოეწონა საბჭოთა წინადადებაში იმის ხსენება, რომ ყველა ქვეყანაში გაჩაღებულია მძლავრი სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის და იმის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მაგრამ სიტყვა მშვიდობა გახდა მილიონიანი მასების დროშა მსოფლიოს ყველა კუთხეში, იგი გზის მანათობელი ვარსკვლავია იმათთვის, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას ახალი სისხლის ღვრა, ახალი ომის გიჟური ხანძარი, რომელიც ნაცრად და მტვრად აქცევს ათასობით ქალაქსა და მილიონობით ადამიანებს!

მთელი მსოფლიოს ხალხებს არ სურთ ომი, ისინი მოითხოვენ მშვიდობას! საბჭოთა მთავრობის მიერ 23 სექტემბერს შემოტანილი წინადადებანი მშვიდობის პროგრამაა, რომელიც შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის ინტერესებს. სწორედ ამიტომ ახალი ომის გაჩაღებლები ილაშქრებენ ამ პროგრამის წინააღმდეგ, რომლის განხორციელება ნიშნავს სამხედრო ავანტიურების პოლიტიკის კრახს, ავანტიურებისა, რომლებმაც თავბრუ დაახვიეს ზოგიერთი ქვეყნის, და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდ ბრიტანეთის მმართველ წრეებს.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის მოწინააღმდეგენი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსაკუთრებული გაფფორებით გამოდიან საბჭოთა რეზოლუციაში მოყვანილი მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ დაგმობილ იქნას ახალი ომის მზადება, რაც წარმოუთქვამთ ერთ ერ ადამიანს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ამ ადამიანებს, ალბათ, ეშინიათ, ეშინიათ ხალხების, ეშინიათ ომის, ეშინიათ ომის ბოროტმოქმედთა, ეშინიათ ომის ბოროტმოქმედთა, ეშინიათ ომის ბოროტმოქმედთა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

(დასასრული)

მაჯერებელი ფაქტებისათვის. იგი არც კი შეეცადა პასუხი გაეცა ამ ფაქტებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახალ ომს ამზადებენ და წინაალმდეგობას უწევენ საერთაშორისო ასპარეზზე მიღებულ ყველა ღონისძიებას ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. ოსტინი თავის სიტყვას კითხულობდა წინასწარ მომზადებული ტექსტით, რაც მოწმობს, რომ ამერიკის დელეგაციამ გადაწყვიტა გამოსულიყო საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საბჭოთა დელეგაცია გამოვიდოდა კომიტეტში მათი დასაბუთებით.

ამერიკის წარმომადგენელმა ვერ უარყო ის ფაქტი, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია ახალი ომის პროპაგანდისა და მომზადების ცენტრი. იგი მხოლოდ ამტკიცებდა, რომ ამის მითითება, რასაც საბჭოთა წინადადებანი შეიცავენ, თითქოს „პროვოკაციულია“, თუმცა ცნობილია, რომ ნამდვილ პროვოკაციას წარმოადგენს არა ახალი ომის გამჩაღებელ პროვოკატორთა საქმიანობის დაგმობა, არამედ ახალი ომისაკენ ის მოწოდებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ახალი ომის ერთი მუჭა გამჩაღებელებისგან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. ამერიკის წარმომადგენელი გამოვიდა ატომური იარაღის აკრძალვის წინაღმდეგ და ამ წინაღმდეგობის გასამართლებლად მოიყვანა ის გარემოება, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკის ზეგავლენით გენერალური ასამბლეის უმრავლესობამ უკვე უარყო შარშან ამგვარი წინადადება.

ამერიკის წარმომადგენელმა გაილაშქრა სსრ კავშირის წინადადების წინააღმდეგ ხუთი სახელმწიფოს მიერ მშვიდობის განმტკიცების პაქტის დადების შესახებ და ამასთან შეეცადა დაემოწმებინა ის, რომ თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ამგვარ პაქტს ზედმეტს ხდის.

ამერიკის წარმომადგენელმა ვერ შეძლო საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ თავისი გალაშქრება განემტკიცებინა რამდენადმე დამაჯერებელი საბუთებით და გაიმეორა საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე მთელი სტანდარტული გალაშქრებანი. ამერიკის წარმომადგენელმა არაფერი თქვა იმაზე, რომ ომისშემდგომი შეთანხმებანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა, სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ვერმანიის საკითხში, საერთაშორისო საკითხების შეთანხმებული გადაწყვეტისათვის შექმნილი ამარატის — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს საკითხში, ისევე როგორც სხვა საკითხებში, დაარღვიეს შეერთებულმა შტატებმა, და უნაყოფოდ შეეცადა ამის გამო პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირისათვის დაეკისრებინა.

ოსტინი შეეცადა უარყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების აგრესიული ხასიათი, ხელშეკრულებისა, რომლის აგრესიულ არსს არ მალავენ პრესის ისეთი ორგანოებიც კი, როგორიცაა ამერიკული მონოპოლიების ორგანო „უოლ-სტრიტ ჯორნელი“.

ოსტინმა ერთი სიტყვითაც არ ახსენა სიცრუისა და ცილისწამების ის აღვირახსნილი კამპანია, რასაც საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ეწევა რეაქციული ამერიკული პრესა, და დაიწყო ფარისევლური ჩივილი იმის გამო, რომ ვითომდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არის საკმაოდ ფართო კულტურული ურთიერთობა. მაგრამ ამერიკის წარმომადგენელმა არაფერი თქვა იმ სამარცხვინო პრაქტიკაზე, რომელსაც ამერიკის ხელისუფალნი იყენებენ იმ მეცირეიცხოვან საბჭოთა წარმომადგენლების მიმართ, რომლებსაც ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში უშვებენ.

ამერიკის წარმომადგენელმა არაფერი თქვა იმის შესახებაც, რომ ყოველგვარი კულტურული ურთიერთობის საჭირო წინამძღვარს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაცია, რომლისკენაც მოუწოდებენ და რომელსაც მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული წრეების წარმომადგენლები. მან არაფერი თქვა აგრეთვე იმის შესახებ, რომ ასეთი ნორმალიზაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმ აღვირახსნილი ცილისმწამებლური პროპაგანდის შეწყვეტა, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწევიან ომის ერთი მუჭა აშკარა გამჩაღებლები, რომლებსაც აქეზებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და რის წინააღმდეგაც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინადადებანი.

ამერიკის წარმომადგენლის მთელი გამოსვლა არ შეიცავდა რაიმე პასუხს საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლაში მოყვანილ ფაქტებზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული ხროვის მიერ ახალი ომის პროპაგანდისა და მომზადების გაძლიერების შესახებ, ფაქტებზე, რომლებიც შეშფოთებას იწვევენ მშვიდობისმოყვარე ხალხებში, რომლებიც მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს ომის გამჩაღებელთა ამ საქმიანობას და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა ხალხთათვის. ოსტინის გამოსვლა, არსებითად, წარმოადგენდა ამერიკის მთავრობის უარს მხარი დაეჭირა საბჭოთა წინადადებებისათვის, რომლებიც მიმართულია მშვიდობის ნამდვილი უზრუნველყოფისაკენ.

ოსტინი მოუწოდებდა ასამბლეას უარეყო საბჭოთა წინადადებანი და განაცხადა, რომ ისინი შეუთავსებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტთან. „საბჭოთა რეზოლუციის არცერთი ნაწილი, — თქვა ოსტინმა, — ღირსი არ არის არც შესწორების, არც მიღებისა“. ოსტინმა შეიტანა ინგლის-ამერიკის ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც შედგენილია უფლებათა დეკლარაციის მსგავსი ყოველგვარი დოკუმენტიდან ამოგლეჯილი ზოგადი, ფუჭი ფრაზებისაგან და რომელიც არავის არაფერს ავალებს, რომელსაც უნარი არ შესწევს გადაწყვიტოს მშვიდობის განმტკიცებისა და ახალი ომის გამჩაღებელთა ალაგმვის ის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას მოელიან ასამბლეისაგან ასეულ მილიონობით ადამიანები მთელ მსოფლიოში.

ჯოუ ენ-ლაის დეპეშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

პეკინი, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც იგი უარყოფს გომინდანელების ეგრეთ წოდებული „ჩინეთის ეროვნული მთავრობის მიერ“ ძიან ტინ-ფუს მეთაურობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე გაგზავნილი დელეგაციის უფლებამოსილებას.

დეპეშაში ნათქვამია: ჩინეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შექმნის შესახებ დეკლარაციაში ოფიციალურად განუცხადა მსოფლიოს: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა ერთადერთი კანონიერი მთავრობაა, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ხალხს. განმათავისუფლებელ ომში ჩინელმა ხალხმა ამჟამად მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება მთელ ჩვენს ქვეყანაში, რეაქციული გომინდანური მთავრობის ნაშთები განწირული არიან და უფლებამოსილი აღარ არიან ჩინელი ხალხის წარმომადგენლები იყონ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით ოფიციალურად გაცნობებთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა უარს ამბობს კანონიერად ცნოს ეგრეთ წოდებული „ჩინეთის ეროვნული მთავრობის“ მიერ ძიან ტინ-ფუს მეთაურობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე გაგზავნილი დელეგაციის სტატუსი, და მიაჩნია, რომ მას არ შეუძლია იყოს ჩინეთის წარმომადგენელი და უფლება არა აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოვიდეს ჩინელი ხალხის სახელით.

ჯოუ ენ-ლაიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის გაუგზავნა იგრეთვე დეპეშა, რომელშიც აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებულ „ჩინეთის ეროვნული მთავრობის დელეგაციას“ არავითარი უფლება არა აქვს იყოს ჩინეთის წარმომადგენელი, და ამიტომ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ გააუქმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მონაწილეობის უფლება.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 15 ნოემბერი. (საკდესი). ვარშავაში 11-13 ნოემბერს მიმდინარეობდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის პლენუმი ხელმძღვანელი აქტივის მონაწილეობით. პლენუმის შესახებ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია:

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) პარტიის ამოცანები ახლანდელ ვითარებაში რევოლუციური სიფხიზლისათვის ბრძოლაში. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ბოლესლავ ბერუტმა; 2) საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: 1) პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ბიუროს ამხანაგ ბერუტის მოხსენება მიიღოს საფუძვლად რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და პარტიის იდეოლოგიური დონის ამაღლების დარგში პარტიის მუშაობისათვის.

ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სათანადო ორგანიზაციული გადაწყვეტილებანი მიიღოს ამხ. ბერუტის მოხსენებაში აღძრული ძირითადი საკითხების განსახორციელებლად.

2) მიიღო რა მხედველობაში, რომ ამხანაგებმა გომულკამ და კლიშკომ გამაერთიანებელი ყრილობის შემდეგ განვლილი 11 თვის მანძილზე არ გმოიჩინეს კეთილი ნება იმ ზიანის აღმოსაფხვრელად, რაც პარტიას მემარჯვენე-ნაციონალისტურმა გადახრამ მიაყენა და რასაც თავის ვარაუდს უკავშირებდა იმპერიალიზმი და მისი აგენტურა, და კეთილსინდისიერი პარტიული თვითკრიტიკის გზით ამ გადახრის დასაძლევად; მიიღო რა მხედველობაში, რომ ამხანაგებმა გომულკამ და კლიშკომ თავი აარიდეს პარტიისათვის დახმარების გაწევას იმ მტრული აგენტურის მთლიანად გამოაშკარავებაში, რომელმაც შეაღწია სხვადასხვა პოსტებზე, — სხვათა შორის, მათი მხრივ დანაშაულებრივი წყაროების შედეგად, — ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გარიცხოს ამხანაგები გომულკა და კლიშკო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან და ჩამოართვას მათ რაიმე პარტიულ ორგანოში მონაწილეობის უფლება.

3) მიიღო რა მხედველობაში, რომ ამხ. სპიხალსკიმ, როგორც უკანასკნელ დროს დადასტურებულმა ფაქტებმა ცხადყვეს, თავის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში როგორც ოკუპაციის დროს, ისე განთავისუფლების შემდეგ, გამოიჩინა პოლიტიკური სიბეცე, რაც გამომდინარეობს ყალბი, ოპორტუნისტული და ნაციონალისტური პოზიციიდან, რომ ეს პოზიცია ხელს უწყობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე მტრის აგენტურის შეღწევას, რომელიც მოქმედებდა რევოლუციური მოძრაობისა და სახალხო პოლონეთის წინააღმდეგ, უცხოეთის დაზვერვათა სასარგებლოდ; მიიღო რა მხედველობაში, რომ ამხ. სპიხალსკიმ დახმარება არ გაუწია პარტიას თავის დროზე ამ მტრული აგენტურის მხილებაში, — ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გარიცხოს ამხ. სპიხალსკი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან და ჩამოართვას მას რაიმე პარტიულ ორგანოში მონაწილეობის უფლება.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად დაადგინა კოოპტაციის წესით თავის შემადგენლობაში შეიყვანოს მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი, აგრეთვე კოოპტაციის წესით ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად შეიყვანოს ამხანაგები რომანა გრანასი, ვიტოლდ იაროსინსკი და მიხეილ კრაევსკი.

თურქეთის სამხედრო ხომალდმა სროლა აუხეხა საბერძნეთის მეთევზეთა ნავებს

ათენი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ მიტილენიდან (ქალაქი ეგეოსის ლესბოსზე) მიღებულ ცნობას, რომ 14 ნოემბერს თურქეთის სამხედრო ხომალდი შევიდა საბერძნეთის ტერიტორიულ წყლებში, სროლა აუტეხა საბერძნეთის მეთევზეთა ნავებს და ერთი მათგანი — „ჯარტერია“ — სერიოზულად დააზიანა. საბერძნეთის მეთევზეთა მეორე ნავი „ტაქსიარქისი“ მეთევზეებიანად წაიყვანეს თურქეთის ნაპირებისაკენ.

ფინეთში პრეზიდენტის არჩევნების წინ

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის საარჩევნო პროგრამა

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამგეობის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე

ჰელსინკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამგეობის საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში კანდიდატად ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირისაგან ერთსულოვნად დაასახელა ყოფილი პრემიერ-მინისტრი მაუნო პეკალა.

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამგეობის საბჭოს სხდომაზე პოლიტიკური მგზომარეობის მიმოხილვა გააკეთა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის საარჩევნო პროგრამა, რომელიც კავშირის აღმასკომმა წარმოადგინა. პროგრამა შედგება შემდეგი ხუთი ძირითადი კარისაგან:

სიღატაკე, შიმშილი და უმუშევრობა უნდა აღმოიფხვრას. უმუშევრობა უნდა: მოისპოს მრეწველობის განვითარების გზით. საგარეო ვაჭრობა ძირითადად მიმართული უნდა იყოს კრიზისისაგან თავისუფალი ქვეყნებისაკენ და ამით ეზრუნველყოფილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება. რეალური ხელფასი კი არ უნდა შემცირდეს, არამედ, პირიქით, უნდა გადიდდეს წარმოების ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაბამისად. წვრილ მიწათმოქმედთა მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს მათთვის დამატებითი მიწების დარიგების, მიწათმოქმედ-მოიჯარეთა, ტყისა და სოფლის მეურნეობის მუშების საკუთარი მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის გზით; საბინაო კრიზისი, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღმოიფხვრას და ყოველი მოქალაქისათვის უნდა შეიქმნას შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარი ბინა.

უნდა შემცირდეს გადასახადებით დაბეგვრა. მშრომელები უნდა განთავისუფლდნენ იმ ტვირთისაგან, რომელიც გამოწვეულია არაწარმოო ეკონომიური პოლიტიკით, ფულის ღირებულების შემცირებით, ადმინისტრაციული და სამხედრო ხარჯების ზრდით. ამავე დროს უნდა გადიდდეს მსხვილი კაპიტალისტების გადასახადებით დაბეგვრა.

აღდგენილ უნდა იქნას დემოკრატია. უნდა შეწყდეს პოლიციის თვითნებობა, სიტყვის თავისუფლებისა და მშრომელთა სხვა უფლებების დარღვევა.

უნდა განხორციელდეს დემოკრატიული რეფორმები. საჭიროა განხორციელდეს მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაცია, ჩატარდეს მიწის რეფორმა და საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია, რომლებიც დასახული იყო 1945 წლის გაზაფხულზე იმ თანამშრომლობის პროგრამაში, რაც ფინელი ხალხის დემოკრატიულ კავშირსა, სოციალ-დემოკრატებსა და აგრარულ კავშირს შორის დაიდო.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი მშვიდობა და უმიშროება. ფინეთის პოლიტიკა განზე უნდა ედგეს დასავლეთელ ომის გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს. ფინეთისა და საბჭოთა კავშირის კარგი ურთიერთობა აღდგენილ უნდა იქნას ურთიერთ მეგობრობისა და ნდობის საფუძველზე.

ბრიტანეთის პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერების ანგრიმუშური პოლიტიკა

ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ეკონომიური კომიტეტის თათბირი ინგლისის მინისტრებთან

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ყველა ბურჟუაზიული გაზეთი 15 ნოემბრის აშკარა კმაყოფილებით იუწყება, რომ 14 ნოემბერს მინისტრებთან, კერძოდ ბევინთან, კრიპსთან, ბიგენთან და აიზექსთან თათბირის შემდეგ ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს სავსებით დეეთანხმონ გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავენ თავიდან აცილებულ იქნას ხელფასის გადიდება, რაც საჭიროა გაძლიერებული სიძვირის საკომპენსაციოდ.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ სამრეწველო კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესი აშკარად აძლევს წინადადებას ყველა პროფკავშირს ყოველგვარი მოლაპარაკება ხელფასის მომატების შესახებ გადადონ 23 ნოემბრამდე, როცა შეიკრიბება გენერალური საბჭოს პლენარული სხდომა.

კრიპსმა და მისმა კოლეგებმა, — წერს კორესპონდენტი, — აღნიშნეს, რომ საჭიროა 1950 წლის ბოლომდე შენარჩუნებულ იქნას ხელფასის გადიდების მოთხოვნის შეზღუდვის პოლიტიკა.

„დეილი ჰერალდის“ სამრეწველო კორესპონდენტის აზრით, თუმცა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის სპეციალური ეკონომიური კომიტეტი მის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში წინადადებას იძლევა უარი თქვან ხელფასის გადიდების მოთხოვნაზე მხოლოდ 23 ნოემბრამდე, მაგრამ, როცა გამოქვეყნდება ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გაშლილი განცხადება, იგი უეჭველია, დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ საჭიროა „გაურკვეველი დიდი ხნით“ გაიყინოს ხელფასის დონე.

ირანის შაჰი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

თეირანი, 15 ნოემბერი. (საკდესი). 15 ნოემბერს დილით ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ტრუმენის პირადი თვითმფრინავით ვაშინგტონს გაფრინდა.

სსრ კავშირის ელჩობა ჭადრაკში ბერლინ-ოლიმპიადა

15 ნოემბერს ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მე-17 ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის ლიდერები გელერი და სმისლოვი. გროსმაისტერმა, რომელიც შავებით თამაშობდა, ოსტატურად თანდათანობით გაათანაბრა თამაში, შემდეგ კი ხელი იგდო ინიციატივა. გელერმა არ ისურვა შერიგებოდა ამას და მეფის ფლანგზე კონტრთამაშის შესაქმნელად შესწორა პაიკი. გელერი აძლიერებდა შეტევას, და სმისლოვს მოუხდა ხარისხის დათმობა. შემდეგ გელერმა შესწორა ფიგურა და მას დარჩა ორი ეტლი და ექვსი პაიკი ერთი ეტლის, ორი მხედრისა და ოთხი პაიკის წინააღმდეგ. ამასთან თეორიას ჰქონდათ სამი ერთმანეთთან დაკავშირებული გასასვლელი პაიკი და უფრო აქტიური პოზიცია. პარტია გადაიდო.

მშვიდობიანი პოზიციური მანევრირების ვითარებაში მიმდინარეობდა კერეს-კოტოვის პარტია და 31-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ბრონშტეინი მთელი პარტიის განმავლობაში ინარჩუნებდა მცირე უპირატესობას ფურმანის წინააღმდეგ, თუმცა გადადებულ მდგომარეობაში მხარეთა მოგების შანსები დაახლოებით თანაბარია.

ბოლესლავსკიმ, რომელიც ლევენფიშს შავებით ეთამაშებოდა, მალე ხელი იგდო ინიციატივა. ლევენფიშმა შესწორა პაიკი და აქტიური თამაში დიწყო. ეს გადაწყვეტილება სწორი გამოდგა და გამოიწვია ენდშპილი, რომელშიც თეორიების პოზიცია შესაძლოა უკეთესიც იყოს. პარტია გადაიდო.

ტაიმანოვმა ენერგიულად შეუტია პეტროსიანს მეფის ფლანგზე. პეტროსიანი ჭედგრად იცავდა თავს და პარტია ყაიმით დამთავრდა.

მიკენასმა კოპილოვთან თამაშში დაკარგა პაიკი, შემდეგ მეორე პაიკი და 50 სვლის შემდეგ იძულებული გახდა დანებებულიყო.

ფლორ-ხოლმოვის, ლილიენტალ-ლიუბლინსკის და არონინ-რაგოზინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გოლდბერგ-სოკოლსკის პარტია გადაიდო ორივე მხარისათვის რთულ და მწვავე მდგომარეობაში.

16 ნოემბერს გათამაშდა მე-17 ტურის გადადებული პარტიები.

დიდ ინტერესს წარმოადგენდა ტურნირის ლიდერების გელერ-სმისლოვის პარტიის დამთავრება. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა.

ასევე მშვიდობიანად დამთავრდა ბრონშტეინ-ფურმანის, ლევენფიშ-ბოლესლავსკის, გოლდბერგ-სოკოლსკის პარტიები.

მე-17 ტურისა და დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების შემდეგ მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: გელერს და სმისლოვს აქვთ 11,5 ქულა თვითეულს, ბრონშტეინს და კოტოვს 11 ქულა თვითეულს, ბოლესლავსკის და ტაიმანოვს 10,5 ქულა თვითეულს, კერესს—10 ქულა, ფურმანს — 9,5 ქულა, ხოლმოვს—9 ქულა, არონინს, სოკოლსკისა და ფლორს — 8,5 ქულა თვითეულს, ლილიენტალს — 7,5 ქულა, კოპილოვსა და მიკენასს — 7 ქულა თვითეულს, პეტროსიანს — 6,5 ქულა, გოლდბერგს — 6 ქულა, ლიუბლინსკისა და რაგოზინს — 5,5 ქულა თვითეულს და ლევენფიშს — 5 ქულა. (საკდესი).

თეატრებში

18 ნოემბერს: ოპერისა და ბალეტის — „ჩიო-ჩიო-სან“ (მე-11 აბ. მესამე სპექტაკლი); **რუსთაველის** სახელობის — „იმით მხარეში“ (5 სერიის მეორე სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი“; **გრიბოედოვის სახელობის** — „იმით მხარეში“; **მუსიკალური კომედიის** — „ნათელა“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „კომბლე“; **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „გამოცდები“.

გასწორება

„კომუნისტის“ 16 ნოემბრის ნომერში, პირველ გვერდზე, მასალაში „ორდენებისა და მედლების გადაცემა“ მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. თიბილოვმა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 ნოემბერს, დღის 3 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი **მალხაზ მიხეილის-ძე ზაალიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Физико-химическая и биохимическая характеристика кристаллического белка миогена А из нормальной и окоченевшей мускулатуры“.**

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. გოგუაძე,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **შ. გონაშვილი.**

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს** ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური განყოფილების ერთი უფროსი მეცნიერ თანამშრომლის (დოქტორი ან კანდიდატი) ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შეიტანოს განცხადება და შემდეგი საბუთები:

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა სამეცნიერო ხარისხის ან წოდების შესახებ, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომები და მათი სია, ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, თბილისი, მარის ქ. № 35.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 29 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (ზელენიშვილის ქუჩა № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასისტენტი **შიო ილიას-ძე გუგეშაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები „სეროზული ანთებით“ მიმდინარე ზოგიერთ დაავადებათა დროს ნატრიუმისა და ქლორის ცვლის საკითხისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ვ. ვარაზი** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ნ. ყიფშიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია აცხადებს კონკურსს ორი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს საჭირო საბუთები თანახმად არსებული წესისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელ კომისიაში შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 33/35.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს 2 უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილებაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადა 15 დღე დღიდან განცხადებისა.

განცხადება შტატანლი უნდა იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ქ. თბილისი, ჯ.-ყაბიშვილის ქ. № 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სახოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტისი და ხაბეჭდისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, ხტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობას პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 УЭ 05615